განხილულია
პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე

დამტკიცებულია
შპს ,,აკადემოსის''
დირექტორის 2023 წლის 11 სექტემბრის N2-41-23 ბრძანებით

შპს ,,აკადემოსის''
შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
2023-2030 წლები

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სკოლის ფილოსოფიას და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

7 (შვიდ) წლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, ახალი გამოწვევები. ინფორმაციის შეჯერების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით.

სკოლის შესახებ ინფორმაცია

სკოლა 1999 წელს ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ილიას უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ქალბატონმა იზა ჩანტლაძემ დააარსა.

დღეისათვის სკოლა "აკადემოსი" სასწავლო პროცესის სამივე საფეხურზე წარმატებით ახორციელებს. სკოლა გამოირჩევა მასწავლებელთა კვალიფიკაციით, უცხო ენების გაღრმავებული სწავლებით, საგნობრივი მრავალფეროვნებითა და მცირერიცხოვანი კლასებით.
"აკადემოსის" გუნდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო, შემოქმედებითი და გასართობი ღონისძიებების დაგეგმვასა და აქტივობებში მოსწავლეების ხარისხიან ჩართულობას.

სკოლის გუნდი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეების შიდასასკოლო, ქვეყნის მასშტაბით თუ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას. ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ოლიმპიადებში, კონფერენციებში, პრეზენტაციებში, კონკურსებსა და კონცერტებში. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვების შემოქმედებითი და ინტელექტუალური უნარ-ჩვევების სტიმულირებასა და გამოვლენას. მოქმედებს გახანგძლივებული რეჟიმი.

სკოლის მისია

უსაფრთხო, პოზიტიურ გარემოში ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით და მაღალკვალიფიციური მომსახურებით, წარმატებულ ცხოვრებაზე ორიენტირებული, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები ღირსეული მოქალაქის ჩამოყალიბება

სკოლის ხედვა

საზოგადოებასთან და მშობლებთან თანამშრომლობის გზით, განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, მიზნად ვისახავთ თითოეული მოსწავლის აკადემიური, სოციალური, ფიზიკური და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ჩვენი სკოლა ხელს უწყობს ბავშვზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას. ვცდილობთ, მოსწავლეთა მიღწევები ვაქციოთ უმაღლეს პრიორიტეტად და მის განსახორციელებლად მოვიზიდოთ შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსები

სკოლის ღირებულებები:

ღირებულებები არის ის ფუნდამენტური პრინციპები, რომლითაც ვხელმძღვანელობთ ორგანიზაციის შიგნით და რაც განსაზღვრავს ჩვენს ქცევას, გადაწყვეტილებებსა და კორპორატიულ კულტურას.

სკოლის ძირითადი ღირებულებებია:

- ***ხარისხზე ორიენტირება*** *– ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა. მაღალი ხარისხის დამატებითი საგანმანათლებლოს სერვისების მიწოდება;*

- ***გამჭვირვალობა და ღიაობა*** *– სკოლა ანგარიშვალდებულია სასკოლო საზოგადოების წინაშე. ავრცელებს ინფორმაციას საკუთარი საქმიანობის თაობაზე და ღიაა თანამშრომლობისათვის;*

- ***გუნდურობა*** *– სკოლისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი კულტურა და ორიენტირება საერთო მიზანზე.*

- ***განვითარებაზე ორიენტირებულობა*** *– სკოლა აფასებს საკუთარ საქმიანობას, ეძებს სუსტ მხარეებს და ზრუნავს მათ აღმოფხვრაზე.*

SWOT - ანალიზი

იმისათვის, რომ სკოლამ მოახერხოს თავისი ფილოსოფიის შესრულება და მოსწავლეებისათვის საუკეთესო საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, აუცილებელია სწორად იქნეს დანახული სკოლის მიერ დასახული და შესრულებული სტრატეგიული გეგმის დადებითი და უარყოფითი, სუსტი და ძლიერი მხარეები.

<u>ძლიერი მხარეები</u>	<u>სუსტი მხარეები</u>
✓ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გარემო; ✓ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკასთან ინტეგრირებული კომპიუტერულ ლაბორატორია, ღია სპორტული მოედანი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების(ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორია,); ✓ უფასო კვება 1-4 კლასებში; ✓ უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო; ✓ გამართული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა; ✓ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო და სწავლების მაღალი ხარისხი; ✓ სკოლის თანამშრომელთა მოტივირებული, ენერგიული გუნდი; ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; ✓ ბაზარზე არსებულ სკოლებს შორის კონკურენტუნარიანობა; ✓ სასწავლო და შემოქმედებითი ღონისძიებები, პროექტები; ✓ ეროვნულ გამოცდებზე სკოლის მოსწავლეების მიერ მიღწეული წარმატებები.	✓ ცალკე სამკითხველო დარბაზის არ არსებობა ✓ საკლასო ოთახებში კომპიუტერების, პროექტორების სიმცირე; ✓ მშობლების მხრიდან ხელშეკრულებით ✓ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა

✓ სკოლაში გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღების პრაქტიკა; ✓ მოსწავლეთა აკადემიური შედეგები; ✓ სწავლის გადასახადის მოქნილი სისტემა; ✓ რესურსოთახი ✓ უფასო/ფასიანი წრეები ✓ საგნობრივი კათედრების კოორდინირებული მუშაობა; ✓ მშობელთა ნდობის მაღალი ხარისხი და მხარდაჭერა. ✓ საერთაშორისო და საქართველოს მაშტაბით პროექტებში მონაწილეობა/ჩართულობა ✓ ქართული და ინგლისური კლუბების ფუნქციონირება; ✓ მემორანდუმები ქართულ პროფესიულ სასწავლებლებთან, უცხო ქვეყნის სკოლებთან ✓ მცირერიცხოვანი კლასები ✓ ეროვნულ და კერძო ოლიმპიადებში ყოველწლიური მონაწილეობა ✓ Sat-ის ოფიციალური წევრი, საგამოცდო ცენტრი/მოსამზადებელი ცენტრი ✓ მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩააბარონ უცხოეთში გამოცდები და გახდენენ პრესტიჟული უნივერსიტეტის სტუდენტები ✓ სკოლა არის ტოეფელის ამბასადორი,	
<u>შესაძლებლობები</u> ✓ სკოლის შენობის კეთილმოწყობა ✓ სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ✓ ინვესტიციების მოზიდვა; ✓ საერთაშორისო პროგრამის გამრავალფეროვნება; ✓ მომსახურების ხარისხისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება კონკურენციის ზრდასთან ერთად; ✓ კემბრიჯის პროგრამის დანერგვა სკოლაში (ბრიტანეთის საბჭოსთან მემორანდუმის გაფორმება); ✓ მასწავლებელთა პროფესიული	**<u>საფრთხეები</u>** ✓ განათლების სფეროში არსებული კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ცვლილებები; ✓ ფორსმაჟორული სიტუაციის შექმნა ქვეყანაში; ✓ ეკონომიკური მდგომარეობის ✓ გაუარესება (გადახდისუარიანობის ✓ შემცირება); ✓ მონეტარული პოლიტიკის არამდგრადობა და ინფლაცია

განვითარება/გადამზადება; ✓ სკოლის ტერიტორიაზე საზაფხულო სკოლის მოწყობა ✓ ინგლსიურში და მათემატიკაში არაგრიფირებული საერთაშორისო პროგრამების სახელმძღვანელოების შემოტანა(კანონმდებლობით დადგენილი წესით შეთანხმება)	

სტრატეგიული მიზნები:

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), სკოლის ფილოსოფიით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიზნებით:

1.სტარტეგიული მიზანი
ადამიანური რესურსის განვითარება

2.სტრატეგიული მიზანი
სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება/გაუმჯობესება

3.სტრატეგიული მიზანი
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება

4.სტრატეგიული მიზანი
სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება

5.სტრატეგიული მიზანი
უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

თითოეული სტრატეგიული მიზანი თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად.

1. სტარტეგიული მიზანი - ადამიანური რესურსების განვითარება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
ადამიანური რესურსის განვითარება	თანამშრომელთა მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება							
	აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა							
	ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება							

2. სტრატეგიული მიზანი - *სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება/გაუმჯობესება*

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება/გაუმჯობესება	ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა							
	საერთაშორისო პროგრამის დანერგვა							
	სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა							
	სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება							
	აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა							
	გაცვლითი პროგრამების დანერგვა							

3. სტრატეგიული მიზანი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება							
	საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება							
	საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება							
	ფინანსური მდგრადობა							
	სკოლის მესამე სართულის დაშენება და მოსწავლეთა რაოდენობის დამატება							
	სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან/ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა							
	სკოლის ცნობადობის გაზრდა							
	სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის მომზადება							

4. სტარტეგიული მიზანი - სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება	მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა							
	მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში							
	მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა							
	მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა							
	მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება							
	მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა							
	დამატებითი სერვისების განვითარება							

5. სტრატეგიული მიზანი - უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	შესრულების პერიოდი						
		2023 - 2024	2024 - 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030
უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა							
	უსაფრთხოების ნორმების დაცვა							
	უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება							